

პროგრასტინაცისა და მოტივაციას შორის კავშირი სტუდენტებში

ანნა კვარაცხელია

*სამაგისტრო ნაშრომის წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
განათლების ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე განათლების ფსიქოლოგიის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

განათლების ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დარეჯან კახიანი, ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის
მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანნა კვარაცხელია

18 ივნისი 2018წ.

აბსტრაქტი

აღნიშნული კვლევა მიზნად ისახავს პროკრასტინაციასა და მოტივაციას შორის კავშირის დადგენას სტუდენტებში. მოცემულ კვლევაში მოტივაცია თვით-დეტერმინაციის თეორიულ ჩარჩოშია განხილული და დაყოფილია 4 ნაწილად: შინაგანი მოტივაცია, თვით-დეტერმინირებული გარეგანი მოტივაცია, არათვით-დეტერმინირებული გარეგანი მოტივაცია და ამოტივაცია. ნაშრომში გაანალიზებულია, პროკრასტინაციის კავშირი, როგორც შინაგან მოტივაციასა და ამოტივაცასთან, ასევე, თვით-დეტერმინირებული (ინტეგრირებული რეგულაცია, იდენტიფიცირებული რეგულაცია) და არათვით-დეტერმინირებული გარეგანი მოტივაციის თითოეულ სახესთან (ინტროეცირებული რეგულაცია, ექსტერნალური რეგულაცია). კვლევაში მონაწილეობა თბილისის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის 110-მა სტუდენტმა მიიღო, რომელთა ასაკი 18-დან 25 წლამდე მერყეობს. რესპოდენტებმა შეავსეს აკადემიური პროკრასტინაციის და სწავლასთან დაკავშირებული მოტივაციის საზომი კითხვარები. მონაცემთა ანალიზის საფუძველზე ვლინდება, რომ პროკრასტინაცია უარყოფით კავშირშია შინაგან მოტივაციასთან. მსგავსი კორელაცია ფიქსირდება ინტეგრირებულ რეგულაციასა და პროკრასტინაციას შორის, ხოლო პროკრასტინაციის კავშირი იდენტიფიცირებულ რეგულაციასთან არ არის სტატისტიკურად სანდო. ამდენად, პროკრასტინაციასა და თვით-დეტერმინირებულ გარეგან მოტივაციას შორის კავშირი ნაწილობრივ დასტურდება. ასევე, ირკვევა, რომ პროკრასტინაცია არ არის მნიშვნელოვან კორელაციაში ინტროეცირებულ რეგულაციასა და ექსტერნალურ რეგულაციასთან. მიღებული შედეგი პროკრასტინაციასა და არათვით-დეტერმინირებულ გარეგან მოტივაციას შორის კავშირის არარსებობას გულისხმობს. რაც შეეხება პროკრასტინაციასა და ამოტივაციას, მათ შორის სანდო კავშირი არ ვლინდება. მიღებული შედეგები ცხადყოფს, რომ რაც უფრო მაღალია ადამიანის შინაგანი

მოტივაცია, მით უფრო ნაკლებია შანსი იმისა, რომ ის პროკრასტინატორი იყოს. წინამდებარე კვლევის შედეგებმა ხაზი გაუსვა თვით-დეტერმინირებული გარეგანი მოტივაციის როლს პროკრასტინაციაში. ამის გათვალისწინებით, შინაგანი მოტივაცია და თვით-დეტერმინირებული გარეგანი მოტივაცია შესაძლოა პროკრასტინაციისგან თავის ასარიდებელ იარაღად იქნეს გამოყენებული. აღნიშნული შედეგები მნიშვნელოვანია პრაქტიკული მიმართულებით და შესაძლოა გათვალისწინებულ იქნას სამომავლო კვლევებისთვის.

ძირითადი საძიებო სიტყვები: პროკრასტინაცია, სწავლის მოტივაცია, თვით-დეტერმინაციის თეორია

Abstract

The present study attempts to understand the relationship between students' procrastination and motivation. In this research motivation is discussed in the theoretical framework of self-determination and is divided into 4 main types: intrinsic motivation, self-determined extrinsic motivation, non-self-determined extrinsic motivation and amotivation. The study analyzes procrastination's relationship with intrinsic motivation and amotivation, and the faces of self-determined (integrated regulation, identified regulation) and non-self-determined extrinsic motivation too (external regulation and introjected regulation). 110 students from a different number of Tbilisi-based universities participated in the survey, whose age ranges from 18 to 25 years. Students completed a questionnaire on academic procrastination and learning motivation.

The result shows a significant negative correlation between procrastination and intrinsic motivation. A similar relationship appears between procrastination and integrated regulation, but correlation between procrastination and identified regulation is not statistically important. Thus, relationship between procrastination and self-determined extrinsic motivation is partly confirmed. Result reveals that procrastination is not associated with non-self-determined motivation (external and introjected regulation). The result also indicates that there is not a statistically significant interaction effect between procrastination and amotivation. It seems that the more intrinsically motivated a student is, the less likely to procrastinate. The result also highlighted the role of self-determined extrinsic motivation in procrastination. Considering this, intrinsic motivation and self-determined extrinsic motivation can be used as a weapon to avoid a procrastination. These implications are essential in practical direction and can be used for future research.

Keywords: procrastination, learning motivation, self-determination theory